19საუკუნის ქალაქის მოსახლეობის ზრდა.

რკინიგზის ქსელი-ფოთი-თბილისის რკინიგზა პირველი რკინიგზაა საქართველოში. 1864 წელს რუსეთის იმპერატორს დასამტკიცებლად წარუდგინეს ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის საბოლო პროექტი.

საწარმოები-19 საუკუნეში საქართვლოში დაიწყო მრეწველობის განვითარება, ამ პერიოდში გაიხსნა მაღაროები და ქარხნები, სადაც ამუშავებდნენ მეტალს და მინერალს.

ბატონ-ყმობის გაუქმება-1861 წელს გაუქმდა ბატონყმობა, რამაც გლეხებს მისცა საკუთარი მიწის ფლობის უფლება, განათლებისა და რაც მთავარია მიანიჭა თავისუფლება.

წერა-კითხვის მცოდნე ადამიანების გაზრდა-ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხებს და დაბალი ფენის წარმომადგენელ ადამიანებს მიეცათ სწავლის უფლება, ამაღლდა ქალთა უფლებები. ქალებმაც დაიწყეს წერა-კითხვის სწავლა.

თერგდალეულები-ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პროცესში უმთავრესი როლი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მოღვაწე, თერგდალეულებმა შეასრულეს. მათ უმრავლესობას განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული "თერგდალეულებად" ამიტომაც მოიხსენიებოდნენ. თერგდალეულები საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე გამოვიდნენ და თავდაპირველად დაუპირისპირდნენ უფროს თაობას, რომლებსაც უმოქმედობასა და ცარიზმის პოლიტიკისადმი შემრიგებლურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებდნენ. ეს დაპირისპირება ცნობილია "მამათა და შვილთა" ბრძოლის სახელით. თერგდალეულთა პროგრამა ითვალისწინებდა ხალხის, როგორც ეროვნულ ისე, სოციალურ განთავისუფლებას. ისინი კარგად იცნობდნენ რუსეთის და ევროპის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების ნააზრევს, იყვნენ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების საქმის კურსში.

დასკვნა-19 საუკუნეში დაწყებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა საქართველო მნიშვნელოვნად შეცვალა, თერგდალეულებმა ახალი გამოცდილება და ცოდნა ჩამოიტანეს, ბატონ-ყმობის გაუქმებამ გლეხებს მეტი თავისუფლება მისცა, ცოდნის მიღების უფლებამ კი შექმნა

უფრო ჩამოყალიბებული, გონიერი და ჭკვიანი საზოგადოება. რკინიგზების და ქარხნების შექმნამ კი გააქტიურა ვაჭრობა, ქანქარისებური მიგრაცია.

ყველა ამ პროცესმა ერთობლივად შეუწყო ხელი მოსახლეობის განვითარებას, და სოფლების თუ ქალაქების სწრაფ განვითარებას.

მარიამ გოჩაშვილი.